

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის
საბჭოს თავმჯდომარეს
ქ-ნ ნათია კუპრაშვილს

განმცხ.: ტარიელ ნაკაიძის
მისი წარმომადგენლის: თამარ კინწურაშვილის

განცხადება
(საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

2014 წლის 2 აგვისტოს ინტერნეტ-პორტალმა mediacity.ge-მ გამოაქვეყნა ინტერვიუ ტარიელ ნაკაიძესთან, რომლითაც მედია საშუალებამ ქარტიის პირველი, მე-5, მე-7 და ე-11 მუხლები დაარღვია.

მოგმართავთ, რათა ქარტიის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შეისწავოთ ქარტიის ცალკეული მუხლების დარღვევის ფაქტები. კერძოდ:

ვებ-პორტალზე გამოქვეყნებული ვერსია არ შეესაბამება სატელეფონო ინტერვიუს იმ შინაარსს, რომელიც ჟურნალისტ ნათია ვასაძეს სავარაუდოდ 30 ივლისს მიეცა. ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ დავუკავშირდი ჟურნალისტს, მქონდა კომუნიკაცია რედაქტორთან და მათ დაშვებული უზუსტობების შესწორება, ასევე აუდიო ჩანაწერის ჩვენება ვთხოვე, რაზეც რედაქციას დღემდე რეაგირება არ მოუხდენია: ვებ-პორტალზე ისევ თავდაპირველი ვერსიაა¹ განთავსებული, რომელიც ჟურნალისტის თავისუფალ ინტერპრეტაციებს ეფუძნება და კონტექსტიდან ამოგლეჯილად არის მოყვანილი, ხოლო მოთხოვნაზე - რედაქციას აუდიო ჩანაწერი

¹ <http://mediacity.ge/sazogadoeba/127-%E1%83%9C%E1%83%A3-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D,-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97>

გადმოეცა, მივიღე უარი და შეთავაზება - ერთად მოგვესმინა ჩანაწერი და ერთობლივად მოგვეგვარებინა გაუგებრობები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს გამოქვეყნებული ვერსია შეიცავს უზუსტობებს, თავისუფალ ინტერპრეტაციებს და აქვს კონფრონტაციული ტონალობა, რასაც შეგნებულად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში. კერძოდ, სათაურში გამოტანილი "ნუ გვეთამაშები ღარიბაშვილო, ქართველ მუსლიმებს! მე გამიფრთხილებიხართ..." არ ასახავს ჩემს დამოკიდებულებას პრემიერ-მინისტრის მიმართ. ჟურნალისტი ხელოვნურად ამძაფრებს ვითარებას და აღნიშნულ ფრაზას სათაურის გარდა იმეორებს როგორც ინტერვიუს ლიდში, ასევე ტექსტში. ისევე როგორც სათაურის, ასევე ქვემოთ მოყვანილი ციტატის ფორმულირება არ მეკუთვნის მე, რითაც რედაქცია არღვევს როგორც ქარტიის პირველ მუხლს (სიზუსტე), ასევე მე-11 მუხლს (ფაქტის განზრახ დამახინჯება). კერძოდ:

"ჩვენი მთავარი მოთხოვნა მეჩეთის აშენებაა და სულ არ გვაინტერესებს რა მოუვათ ქართულ ძეგლებს თურქეთში. სულ რომ დაინგრეს ოშკი და იშხანი, ეს ჩვენი საქმე არაა! არ გვაინტერესებს!"

ჩვენი ერთადერთი საზრუნავი ქართველ მუსლიმთა რელიგიური გრძნობებია და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათ ბათუმში ღირსეულად ლოცვის საშუალება მიეცეთ!

ბათუმში მეჩეთს მაინც ავაშენებთ! სახელმწიფოს კი მოვუწოდებ, ნუ გვეთამაშება! ღარიბაშვილი ვერ მოგავტყუებს, თითქოს მეჩეთის გაფართოებით აღნიშნულ პრობლემას მოხსნის. ასე რომ, დაანებოს თამაშთაგი, სანამ ყველაფერი სხვა ჭრილში გადავა!"

მუსლიმთა საკულტო ნაგებობით სარგებლობის უფლება, ისევე როგორც სხვადასხვა კონფესიების აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ლეგიტიმური უფლებაა, რასაც ქართველ მუსლიმთა კავშირის და პირადად მე ყოველთვის უფლებრივ ჭრილში განვიხილავდით და არა მეზობელ სახელმწიფოსთან ნაცვალგების კუთხით, როგორც ეს ჟურნალისტის მიერ იყო შემოთავაზებული, რაც თავისთავად დისკრიმინაციული მიდგომაა საქართველოს მოქალაქე მუსლიმების მიმართ. სწორედ ეს პოზიცია გამოვხატე ჟურნალისტთან ინტერვიუში, რაც თვისობრივად არ შეესაბამება რედაქციის მიერ წარმოდგენილ ფორმულირებას, თითქოს პირადად ჩემთვის ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკითხი ინტერესის საგანს არ

წარმოადგენდეს. თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლები ჩვენი კულტურის ნაწილია და მათი გადარჩენა საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის ქართველი მუსლიმების საზრუნავია.

თავად ჟურნალისტის მიდგომა ნაცვალგების ჭრილში განეხილა მეჩეთის აშენების საკითხი (ნათია ვასაძე: "გადაწყვეტილება თურქულმა მხარემაც შეცვალა და ქართული ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ მეჩეთის აშენებას აღარ ითხოვს?"), ისევე როგორც მის მიერ დასმული შეკითხვა - "ხომ არ გავიწყდებათ, რომ საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა არის გამოცხადებული?" - დისკრიმინაციულია, რადგან ის შეუსაბამოა თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპთან და ქართველ მუსლიმებს ქვეყნის მეორეხარისხოვან მოქალაქეებად წარმოაჩენს.

გამოცემამ დაარღვია ქარტიის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად, "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით".

ყურადსაღებია ქარტიის მე-7 მუხლის განმარტება, სადაც აღნიშნულია:

"ამ მუხლის განხილვისას კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პირდაპირ ეთერში მოწვეული სტუმრის მიერ გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს ჟურნალისტი პირდაპირ ეთერშივე უნდა გაემიჯნოს და დაუპირისპირდეს. თუ ჩანაწერია, მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რომ არატოლერანტული გამონათქვამები არ არის ჟურნალისტის პოზიცია. საჯარო პირს დისკრიმინაციული გამონათქვამი უნდა დაუტოვოს ჟურნალისტმა, კერძო პირს კი, შეიძლება, ამოუჭრას – თუ მიზანი არატოლერანტული გარემოს ჩვენება არ არის.

ზოგადად, ევროპული ტენდენცია იმგვარია, რომ ჟურნალისტი უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციულ გამონათქვამებს."


აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტი თავად არის დისკრიმინაციის წყარო, რაც შეუსაბამოა ჟურნალისტურ ეთიკასთან და პროფესიულ სტანდარტებთან.

მიგვაჩნია, რომ მედია საშუალებამ ასევე დაარღვია ქარტიის მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც, "მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად

არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება." როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რედაქციას არც დაშვებული უზუსტობები გაუსწორებია და არც ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი მოუწოდებია მასალის სიზუსტის გადასამოწმებლად, რაც შეუსაბამოა ეთიკურ ჟურნალისტიკასთან და შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.


ჟურნალისტი და მედია საშუალება უნდა აცნობიერებდნენ იმ რისკს, რაც რელიგიურ გრძნობებთან დაკავშირებული თემების კონფრონტაციულ ტონალობაში ინტერპრეტაციამ შეიძლება გამოიწვიოს, რასაც მოჰყვა კიდევ სოციალურ ქსელებში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება როგორც პირადად ჩემი, ასევე ქართველი მუსლიმების მიმართ. ვებ-პორტალზე განთავსებული პუბლიკაციის კომენტარები შეიცავს სიძულვილის ენას ქართველი მუსლიმების მიმართ და აღვივებს მათ მიმართ შეუწყნარებლობას. ამდენად, ვთვლი, რომ აუცილებელია ჟურნალისტის და რედაქციის ქმედებას სათანადო შეფასება მიეცეს და რედაქციამ მიიღოს ადეკვატური ზომები, რათა მისმა ქმედებამ რელიგიურ ნიადაგზე შეუწყნარებლობა არ წახალისოს.

პატივისცემით,



ტარიელ ნაკაიძე

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე



თამარ კინჭურაშვილი

მედიის განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე

14, აგვისტო, 2014